სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის

მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემებსა და მიმართულებებში;
ადგილობრივ და უცხოურ მიღწევებში მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;
სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარებისთანამედროვე მეთოდებში და საშუალებებში.

მთავარ მეცნიერთანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 10 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 3 მაინც:

1) იმ განყოფილების სამეცნიერო მიმართულებით, რომელშიც კონკურსანტი აპირებს განცხადების შეტანას;
2) საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებსა ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

საქართველოსა და უცხოეთში მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებებში;
კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებში.

უფროს მეცნიერთანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალსა ან/და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში), რომელთაგან 1 მაინც:

1)იმ განყოფილების სამეცნიერო მიმართულებით, რომელშიც კონკურსანტი აპირებს განცხადების შეტანას;
2) რეცენზირებად და რეფერირებადგამოცემებში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნებსა და ამოცანებში;

საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევებში;

მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებში.

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 1 სამეცნიერო ნაშრომი მაინც.